***პროექტი***

# საქართველოს კანონი

## „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №56, 28.12.2005, მუხ. 390) მე-15 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**მუხლი 15. პენსიის გაცემის წესი**

1. პენსია გაიცემა საქართველოს ტერიტორიაზე.

2. პენსია გაიცემა ნებისმიერ ადგილას, პენსიონერის სურვილის მიხედვით.

3. მიმდინარე თვის პენსიის გაცემა, მისი ადგილზე მიტანის ჩათვლით, წარმოებს არა უგვიანეს მომდევნო თვის დასრულებისა.

4. პენსიის გაცემის ორგანიზება ხდება მინისტრის ნორმატიული აქტით დადგენილი წესითა და პირობებით.

5. პენსიონერს უფლება აქვს თავად აირჩიოს პენსიის გამცემი საბანკო დაწესებულება.

6. პენსიონერს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს პენსიის გამცემი საბანკო დაწესებულება.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2021 წლის 1 სექტემბრიდან.

**საქართველოს პრეზიდენტი** **სალომე ზურაბიშვილი**